ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

7
1981




— თავს ვევლებით და ჯერაც არ ვიცით, რას დაისხამს!..

„...ჯერ კიდევ ბევრი მეურნეობა ზარალიანი და ნაკლებად რენტაბელურია".

გაზეთებიდან

# ვიყოთ უკომპრომისონი!..

გვახსოვდეს: გვავალდებულებს რვა დროშა გარდამავალი, —
ვიყოთ უკომპრომისონი და ნაკლის არდამმალავნი!
ავს ავი უნდა ვუწოდოთ და არსაქები არ ვაქოთ!
კვლავ ვიმეორებთ ანბანზე იმათ, ვინც უნდა ავლაგმოთ:
ანონიმი და ანგარი, ალკოჰოლიკი, ავყია!..
ბოროტმოქმედი, ბანდიტი, ბიუროკრატი, ბაქია!..
გამომძალველი, გულგრილი, გამფლანგველი და
გამცდენი,
გულშავი განზეგამდგარი — გაიძვერას რომ გასცქერის
დამტაცებელს და დემაგოგს, დოყლაპიას და ეგოისტს
მიჰყვება ვოლუნტარისტი და ვიგინდარაც, მე მგონი!
ზარმაცს მიჰყვება თაღლითი, ინდიფერენტი — ინტრიგანს!..
კომბინატორი კანკალებს დაპატიმრების შიშისგან!..
კვაჭს მოსდევს კარიერისტი! — მათაც მოელით წერტილი!..
აქ კერძომესაკუთრეა, იქ — კუთხურკარჩაკეტილი!..
ლოთს მოკლე ხანში მიიღებს თვითონ გაბრიელ-მიქელი!..
ასო „მან“-ზე კი მაცადეთ, — უფრო გულუხვი ვიქნები:
მუქთახორა და მექრთამე, მომხვეჭელი და
მლიქვნელი,
მაამებელი, მოშურნე, მოლაყბე, ბოლოს — მეშჩანი!..
მეტი ვერ ვპოვე, თუმცაღა მთელი ქვეყანა შევძარი!
ნარკომანსა და ნიჰილისტს მიჰყვება ობივატელი!..
რიგია ასო „პარ“-ისა! — ვნახოთ, იქნება რამდენი:
პროტექტორს, პროტექციონისტს ფერი დაედოთ ყვითელი!..
პროვინციალს და პარაზიტს: პირისპირ უდგას პირფერი!..
ავლაგმოთ პატივმოყვარე და კიდევ პროვოკატორი,
პლაგიატორიც ავლაგმოთ — მპარავი ვაი-ავტორი!..
ასო „ჟან“-ს ვათავისუფლებ! „რან“-ზეა რეპეტიტორი!..
საქმოსანსა და სპეკულანტს ცრემლები სცვივათ დიდრონი!..
ტრაბახასა და უსაქმურს, უზრდელს და უდისციპლინოს,
ფრაზიორსა და ფორმალისტს სანამდე უნდათ, ირბინონ?!.
ქურდს, ქლესასა და ქორვაჭარს რიგით მიჰყვება ღლეტია!..
ყბედს, ყიამყრალს და ყალთაბანდს — უშვილო
შარახვეტია!..
ჩამორჩენილი მიჰყვება ჩიტირეკიას დაგეშილს!..
ცილისმწამებელს, ცინიკოსს — ძილის გუდა და
წამგლეჯი!..
ჭორიკანას და ხულიგანს — ხარბი, ჯაბანი, ჯიბგირი!
აპა, ანბანიც გათავდა!.. ჰიპს ჩამოსტირის ცხვირ-პირი!..

ნიანგი

ნახ. მ. აბაშიძისა



— რევიზორი გვამოწმებს
— ვიცი, ვხედავ!..

# რევიზორის ვნებანი

ეს ამბავი ამ ერთი წლის წინათ მოხდა — 1980 წლის 25 თებერვალს: **გორის ხის დამმუშავებელ ქარხანას** რევიზორები ეწვივნენ! რაკი რევიზორები ვართ და რევიზიის ჩატარების უფლება მოგვეცა, აწი ჩვენ ვიცითო! — ჩაიგოგოლ-ჩაირევიზორ-ჩაიგორგორეს რევიზორებმა! მასპინძლებმა — მობრძანდითო, უთხრეს, ნახევრად გაუღიმეს, ნახევრადრბილი სკამები დაუდგეს და რევიზიაც დაიწყო!..

გადიოდა დრო. კვირას კვირა ცვლიდა და თვეს — თვე, მაგრამ **საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს ქ. გორის უფროსი კონტროლიორ-რევიზორი გ. გ. მეზვრიშვილი და კონტროლიორ-რევიზორი გ. ჩ. ოქროპირიძე** ქარხნიდან წასვლას არც აპირებდნენ! დაუმთავრებელი სტუმრიანობა (ისიც რევიზორებისა), აბა, ვის მოეწონებოდა და შეიბნენ სტუმარ-მასპინძელი: მთავარი სტუმარი გრიშა მეზვრიშვილი ამტკიცებდა — აქ საბუღალტრო საქმეები არეულია, დირექცია მხარში არ გვიდგას, მუშაობაში ხელი გვეშლება, თანაც დიდი დანაკლისი და მიწერებიც არისო!...

მასპინძელი კი ემუდარებოდა — ოღონდ რევიზია დაამთავრეთ, რაც გნებავთ, დაწერეთ და პროკურატურასაც გადაეცით, პასუხისმგებლობას არ გავურბივართო!

რევიზია კი ჭიანურდებოდა და ჭიანურდებოდა!..

მოვიტანთ რამდენიმე სტრიქონს ერთ-ერთი დოკუმენტიდან **„...მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, გ. გ. მეზვრიშვილი, ნაცვლად იმისა, რომ ამის შესახებ ეცნობებინა სათანადო ზემდგომი ორგანოებისათვის და მოეთხოვა ქარხანაში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების აღდგენა და მოწესრიგება, მაინც შეუდგა რევიზიას, რამაც გამოიწვია მისი გაჭიანურება და არასწორი შედეგების გამოყვანა“.**

დაიწერა მოხსენებითი ბარათები, დაგროვდა დოკუმენტები, მასალები, შეივსო საქაღალდეები, აიკინძა ტომები!.. რევიზიას კი ბოლო არ უჩანდა — გრძელდებოდა და გრძელდებოდა!..

სხვა ობიექტურ და არაობიექტურ მიზეზებთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ, თურმე, ნუ იტყვით და, უფროს კონტროლიორ-რევიზორს რევიზიის დროს... მოსწონებია მასზე ასაკით ბევრად უმცროსი ქალი (თვალი მოუკრავს ქარხნის ტერიტორიაზე) და გამიჯნურებია კიდეც მას!

შეჰკადრეს — ეს როგორ იფიქრეთ, პატივცემულო გრიშა, რევიზორი ბრძანდებით და, აბა, გამოიანგარიშეთ, თქვენ შორის ასაკში სხვაობა ხომ 35 წელიაო!

— მე მაგის ანგარიში რომ მაინტერესებდეს, ანგარიში თქვენზე კარგად ვიციო, უპასუხნია.

სიყვარულს რომ მალვა უნდა, არც ის გაინტერესებთო? — შეახსენეს ხალხური გამოთქმა.

არა და არაო! (ხალხური გამოთქმა თუ არ მახსოვს, ოპერა „ევგენი ონეგინი“ ზეპირად ვიციო — „ლიუბვი ვსე ვოზრასტი პოკორნი“).

ახლოს არავინ გაიკარა, ცუდ გუნებაზე დადგა რევიზორ-კონტროლიორი და, თვითონ კონტროლდაკარგული, აბა, ვიღას გააკონტროლებდა?!

შეიქნა ერთი ვაი-უშველებელი, მითქმა-მოთქმა, დაიწერა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა განცხადება-საჩივრები!..

საქმეში **საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტი და „ნიანგის“ რედაქცია** ჩაერია. გაირკვა და ნათელი მოეფინა იმას, რომ **„...უფროსმა კონტროლიორ-რევიზორმა გ. გ. მეზვრიშვილმა გორის ხის დამმუშავებელ ქარხანაში რევიზიის დროს ჩაიდინა რევიზორისათვის შეუფერებელი საქციელი. ის შეეცადა ქარხნის თანამშრომელ ქალთან ინტიმური კავშირის დამყარებას“.**

ვერ გაუგეს რევიზორს და, ინტიმურს ვინ ამბობს, თანამდებობასთან კავშირის გაწყვეტასაც კი დაპირდნენ.

და, აი, 1981 წლის 28 იანვარს, **საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის ბიურომ** იმსჯელა კომუნისტ გ. გ. მეზვრიშვილის შესახებ **კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელის გამო, რაც გამოიხატებოდა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და ამორალურ საქციელში, პარტბილეთის დაკარგვის ფაქტის გამოუმჟღავნებლობაში,** გამოუცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კოლეგიამ კი დაპირება შეასრულა — გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან!

**ასე გააუვნებლეს გორის ხის დამმუშავებელ ქარხანაში** შეხევებულ-შემიჯნურებული მეზვრიშვილ-ხლესტაკოვის ვნებანი!

ჟანი სიხარულიძე

# ვინ ერთგულია, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოს!

# ნიანგი წულუკიძეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი, რაც მანდ სუნთქავს, —
ნარგიზი თუ სუსამბარი, —
წულუკიძის დარგულია,
წულუკიძის სუნთქვა არი!..
და მეც მინდა, შემოვიდე
თქვენს ოჯახში კობას დროშით,
გამარჯვება მოგილოცოთ
წულუკიძის სამშობლოში!

ეს ლ ე ქ ს ი ექსპრომტად უთქვამს 1946 წელს **იოსებ გრიშაშვილს** წულუკიძეში. ვიცი, ბევრს ემახსოვრება ეს სტრიქონები! მაშინ ომში გამარჯვება იყო უპირველესი მისალოცი. წულუკიძელები არასოდეს არავის ჩამორჩებიან რაიმე საქმეში. და, რაკი ომზე ჩამოვარდა სიტყვა, გეტყვით, რომ რაიონმა 6.000 კაცი გაგზავნა ფრონტზე. მათგან ნახევარზე მეტი (3181) ვერ დაბრუნდა შინ. ომგადახდილთა შორის ოთხი საბჭოთა კავშირის გმირია: **ნ. ადამია, გ. ბახტაძე, ა. ტერელაძე, ვ. ჯანჯღავა!** მათი სახელებით ამაყობენ აქ!

ახლა თუ არ ვთქვი, მერე სხვა უფრო დიდ პრობლემებთან შეჭიდებულს, შეიძლება, დამავიწყდეს კიდეც სათქმელი: იმ დროს ომის გზებზე რომ აცილებდნენ თავიანთ შვილებს, ქმრებს, მამებს, ძმებს, ყველას ჰქონდა მათი დაბრუნების იმედი!

ახლა ქალაქში უმაღლესი განათლების მისაღებად წასულ ახალგაზრდას ალარავინ ელის უკან! ამ ცოცხალ შინმოუსვლელებს რაიონის სახელის გაგონებაც არ სურთ! ჰოდა, საიდან ეყოლებათ გმირები?! **დალი ნივნივაძეც**, საქვეყნოდ განთქმული მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი — წავიდა აქედან და თან წაილო ოქროს ვარსკვლავი — გადაელოცა მაინც ვინმესთვის?!.

რამდენმა პოტენციურმა გმირმა დატოვა ასე მშობლიური კუთხე და ოქროს ვარსკვლავისთვის ბრძოლას ქალაქში დამკვიდრებისათვის უსახელო ბრძოლა არჩია! და, მაინც, წულუკიძელები არავის უდებენ ტოლს!..

## პირველი ინტერვიუ პარტიის რაიკომის მეორე მდივან ბორის ფაილოძესთან

**— ნიანგმა ბევრი რამ იცის რაიონის მშრომელთა მიღწევებზე, მაგრამ თქვენი ნაამბობი, ვფიქრობ, უფრო უკეთესი და კომპეტენტური იქნება!**

**მდივანი:** არა მგონია, მაგრამ მაინც მოგახსენებთ, მხოლოდ მშრალად, დასველებისათვის საჭირო დრო უნდა დავზოგო! (ი ღ ი მ ე ბ ა):

ჩვენს რაიონში 3 საბჭოთა მეურნეობა, 8 კოლმეურნეობა და ერთი მეცხოველეობის რაიონული გაერთიანებაა. კოლმეურნეობები ფლობენ 3764 ჰექტარ სახნავ-სათიბ ფართობს, 2175 ჰექტარი კი კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებია. გვაქვს ტყეც — 16 ათასი ჰექტარი. ჩვენი სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია: მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა. მეხილეობა, მეცხოველეობა... სოფლის მეურნეობაში დღეისათვის 6 ათასი კაცია დასაქმებული!

**ნიანგი: ესე იგი, იმდენი, რამდენიც ომში წავიდა!**

**მდივანი:** (ფ ი ქ რ ო ბ ს) საოცარი დამთხვევაა! სწორედ მასე გახლავთ!

**ნიანგი: რას აკეთებენ კოლმეურნეობები იმ 3764 ჰექტარ ფართობზე?**

**მდივანი:** ხნავენ, თესავენ, იმკიან. შარშან. 9700-ის ნაცვლად, მოვკრიფეთ 9752 ტონა ჩაი, ყურძენი 824 ტონა (გეგმა იყო 800), გადაჭარბებით შევასრულეთ მარცვლეულის, ხორცის, ხილის, ბოსტნეულის, რძის დამზადების გეგმები!..

წულუკიძეში, სოფლის მეურნეობასთან ერთად, განვითარებულია მრეწველობაც, რომელიც ყოველწლიურად ამზადებს 46 მილიონი მანეთის პროდუქციას. საწარმოთაგან ერთ-ერთი უძველესია ა. წულუკიძის სახელობის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკა. იგი პირველი ხუთწლედის პირმშოა. კარგი მაჩვენებლები აქვს პოლიმერკონტეინერის ქარხანას (შეიქმნა 1962 წელს). რაიონში მოქმედებს გრეხილი ავეჯის, აგურის, სამკერვალო და ხილის წყლების საამქროები, ორი ჩაის ფაბრიკა!..



მეგობრული შარჟები ბ. ფირცხალავასი

ეთერ ჩომახიძე

## მეორე ინტერვიუ რაიკომის მდივან ნორა მამფორიასთან

**ნიანგი:** თქვენმა რაიონმა ბევრი სახელოვანი ადამიანი გაზარდა, ყველა რომ დავასახელო, ამას დიდი ადგილი დასჭირდება ჩვენს ჟურნალში, თანაც შეიძლება, ვინმე გამომრჩეს და მერე წულუკიძეში აღარ ჩამომესვლება!..

**მდივანი:** ლესია უკრაინკას უთქვამს, ხონი საქართველოს ათენიაო. არ ვიცი, შეიძლება ეს ნამეტანმა სიყვარულმა ათქმევინა პოეტს, მაგრამ ჩვენ მაინც ვამაყობთ ამით. ისე, მთელმა საქართველომ იცის, რომ ჩვენი ქალაქი თავიდანვე მაღალგანვითარებული კულტურის იყო, განსაკუთრებით დაწინაურდა იგი მეცხრამეტე საუკუნიდან, აქ დაარსდა სამასწავლებლო სემინარია, სახელოსნო სასწავლებელი, ქალთა სკოლები, გიმნაზია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, თეატრი და სხვა. ხონის თეატრში, თურმე. დიდი აკაკიც დაბრძანდებოდა!

თუმცა წარსული, რაც უნდა საამაყო იყოს, ვერაფრით შეედრება დღევანდელობას: ახლა წულუკიძეში 4 დაწყებითი, 10 რვაწლიანი, 16 საშუალო სკოლა, 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და ერთი მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმია, რომლებშიც სწავლობს 8.000-ზე მეტი ახალგაზრდა. რაიონში გვაქვს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამუსიკო სკოლა,26 საკლუბო დაწესებულება და 46 ბიბლიოთეკა. ამ 15 წლის წინათ კი რაიონის კულტურის სახლთან შეიქმნა სახალხო თეატრი.



ნოდარ ქუთათელაძე

ყველაფერი ეს ძალიან კარგია. მაგრამ სად არიან ადამიანები? იფიქრებს მკითხველი და სავსებით მართალი იქნება. ადამიანები გნებავთ? ინებეთ:

## ინტერვიუ გოჩა-ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ეთერ ჩომახიძესთან

**ნიანგი: 1985 წელს თავმჯდომარედ ისევ გივი ანდრიაძე გყავთ თუ კვლავ გადაიყვანეს სადმე?**

ეთერი მხრებს იჩეჩავს, თან საეჭვოდ მიყურებს, ხომ არ გააფრინა, ნიანგი კი ბრძანდება, მაგრამ ეს რა ხუმრობააო?!

**ისევ ნიანგი:** აი, აქ წერია (უჩვენებს ქაღალდს), **რომ თქვენს კალენდარზე ახლა 1985 წელია — თქვენ გაექეცით 1980-81, 82, 83, 84** წლებს, ამისათვის, ვფიქრობ, სასჯელიც კი არის გათვალისწინებული. ალბათ, არავინ გიჩივლათ, თორემ...

**ეთერი:** (ხვდება ქარაგმულად ნათქვამს): კი, მიჩივლეს, გამასამართლეს და მომისაჯეს... შრომის წითელი დროშის ორდენისა და მედლების ზიდვა მთელი სიცოცხლის მანძილზე!

**ნიანგი: 1985 წელს თქვენ, ალბათ 1990 წლის ანგარიშში იმუშავებთ. მერე რას აპირებთ, ხომ შემოგელიათ ხელში საუკუნე? დაბრუნდებით თუ არა უკან?**

**ეთერი:** კი, დავბრუნდები, აუცილებლად დავბრუნდები, რომ კვლავ ვკრიფო ჩაი დღევანდელისა და 1990 წლის ანგარიშში!

ინტერვიუს შემდეგ გივი ანდრიაძემ საოცარი ამბავი მითხრა: ეთერ ჩომახიძეს მეათე ხუთწლედში 18,6 ტონა ჩაი უნდა მოეკრიფა, მაგრამ ისე გადაირია ეს დალოცვილი, 36 ტონასაც არ დასჯერდაო! მაგას ვინ ჩივის, სხვებიც გადამირია, ყველა რომ ასე გამექცეს 1985 წელში, დღეს ვის ვაკრეფინოო?!

...და მაინც გარბიან და გარბიან მომავალში არა მარტო გოჩა-ჯიხაიშელი მეჩაიეები, მათთან ერთად შორეული წლების მიჯნებს სინჯავენ ივანდიდელებიც, მათხოჯელებიც, ქუტირელებიც, კუხელებიც!..

აქ მეტი გზა არ არის, რამდენიმე მაინც უნდა დავასახელო, თორემ, ხომ იტყვის ეთერ ჩომახიძე, ჩემს მეტი ვერავინ ნახა ამოდენა რაიონშიო?!

კი, ვნახეთ და წარმოგიდგენთ კიდეც:

გადარევა ასე არ უნდაო და, უარესი ქნა სოფელ წითელი ვარსკვლავის მკვიდრმა, მესიმინდე **გურამ მსხილაძემ**: 1,7 ჰექტარ ფართობზე, 5220-ის





ნახ. ბ. ფირცხალავასი

უსიტყვოდ

(დასასრული მე-5-6-ე გვ.)

# ბულბული

(იგავი)

კივილია ჭოტისა, ჯავრობს ჩხიკვი ჯაფარა,
აწივწივდა წიპრანა, მოჩხავიან ჩხართვები,
ყვავ-ყორნების ყრანტალმა არემარე დაფარა,
ყურს უგდებენ ამ გნიასს ტყეთა პატრონ-
მმართველნი!..
ფრინველთ მეფეს ეახლა მგალობელი ბულბული,
თან უხტარი გადასცა თხოვნისა და მუდარის:
„ვაჟკაცს შვენის აბჯარი, ყმაწვილს — სროლა
შურდულის,
მკვდრისთვის კი ამზადებენ ბნელსა და ცივ
სუდარას!
ბუნებით მგალობელი, მოვითხოვ ჩემს საუფლოს,
ვინც განაგებს ჩემს ადგილს, მითხარ, რა საბუთით
ფლობს?!
მე კი ვიგალობებდი, მოვალხენდი ბუნებას!“
არწივმა უპასუხა (შეეცვალა გუნება):
„მაგ ადგილზე მოუხდათ ჩხუბი, ძმაო, ყვავ-ყორანს,
ბოლოს, როგორც უყურებ, ყვავი დაეპატრონა!
იმის მოხსნას დავა და წყევლა-კრულვა მოჰყვება,
ამიტომაც ვიცადოთ, სანამ ყვავი მოკვდება!“
ყვავმა წელი ხამასი იყრანტალა, „იმღერა“!
ბულბულს სული ამოხდა, ყელიც ვერ მოიღერა!..

**რევაზ მოდებაძე**
(ქ. ჭ ი ა თ უ რ ა)

# აგერ ჩვენ და...



— აგერ ავტობუსიც გამოჩნდა! ჩავსხდეთ და. ათ წუთში. სახლში ვიქნებით! თანაც ცარიელია!..

— რას ამბობ?! ავტობუსით გინდა ჩახვიდე სოფელში?!

— რა მოხდა?! ზედ ჩვენს ჭიშკართან ჩერდება. უცბად ჩამოვხტებით! ვინ დაგვინახავს?! როდემდე ველოდოთ კერძო მანქანას?! არ გახსოვს, შარშან. კინაღამ აქ რომ გავათიეთ?!

— რავა. სადგურში ღამისთევა არ სჯობია სოფელში ავტობუსით ჩასვლას! არ გეყო. შარშანწინ რომ თავი მომჭრერი?! დღესაც მაგაზე ლაპარაკობენ!..

— კი მაგრამ. რამდენჯერ ჩავსულვართ კერძო მანქანით?! რატომ მაგაზე არ იღებენ ხმას?! აბა, რა ვქნათ, სხვა გამოსავალი რომ არ არის?! წელს ბარე ხუთჯერ ჩავედით კერძო მანქანით სოფელში! ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის კვალობაზე ცოტა არ არის!..

— ხუთჯერ კი არა ოთხჯერ!

— რატომ ოთხჯერ?!

— ვილაცებს რომ დავემგზავრეთ, მაგას ვინ ჩაგითვლის?!

— რა მოხდა?! ფული ხომ მაინც იმდენი გადავიხადეთ?!

— ვის რად უნდა. ჩვენ რა გადავიხადეთ?! მთავარია. მანქანა ჩვენ არ აგვიყვანია!

— იმაზე რატომ არაფერს ამბობენ. ერთხელ. სამტრედიაში რომ ავიყვანეთ მანქანა და ჩვენს ჭიშკართან ოთხი ცეცხლივით ბრიალა თუმნიანი რომ ჩავუთვალეთ მძღოლს?!

— მერე ვის სჯერა. ოთხი თუმანი რომ ჩავუთვალეთ?! შუშუს ხმა დაუყრია. სამი თუმანი ხელის კანკალით მისცესო!

— შენ ხომ იცი, რაც მივეცით?!

— ჩვენ ვიცით, კარგია! ხალხმა რა იცის?!

— კი მაგრამ. იმ დალოცვილმა შუშუმ სამი თუმანი თუ ნახა. მეოთხეზე რამ დაუბნელა თვალი?!

— გლახასავით მიეცი. ალბათ, შოფერს ფული! კიდევ კარგი. ის სამი თუმანი მაინც ნახა იმ კაცმა და მთლად არ მოგვჭრა თავი!

— კი მაგრამ, როგორ დავუმტკიცოთ ხალხს. რომ მაშინ ოთხი თუმანი გადავიხადეთ?!

— ავტობუსით ჩავიდეთ ახლა სოფელში და მაგით დავუმტკიცებთ!

— კარგი ბატონო. დაველოდოთ და დავიქირაოთ კერძო მანქანა! აგერ ჩვენ და. აგერ ჩვენი შეღავათების ფული!..

**ნომადი ბართაია**

ნახ. ბ. ფირცხალავასი



— მე ნუ დამისხამ, შაქარი მაქვს!

— მიდი, კაცო, ჩვენს ღვინის ქარხანაში და სულ გაგიქრობენ შაქარს!

# 45-კაპიკიანი ლიმონი



ცოლი ურეკავს ქმარს:

— ალო!.. როგორ იმუშავე?! ათასი საქმე მაქვს, გავრბივარ!.. ალბათ, ძლიერ დაიღალე, არა?!. სახლში დარჩები და დაისვენებ!. დღის ბოლოს შემოგირბენ!.. სადილად რას მახვედრებ, თუ გაქვს რამე?

— კი, როგორ არა.. მაქვს.

— აბა, ჩამომითვალე!

— კარაქი... შვეიცარიული ყველი... ორი ცალი შამაია...

— კიდევ?!

— კიდევ... ჩაის ორცხობილა... ცოტაოდენი ღორი, ბასტურმა... ძროხისაც და ღორისაც.

— კიდევ?!

— კიდევ...

— კიდევ... ხიზილალა.. ხახვი... პური...

— კიდევ?!

— რა დაგემართა, როგორი ტონით მეკითხები?!

— კიდევ რა გაქვს, შე საწყალო?!

— ექვსი ბოთლი გერმანული ლუდი, სამი ბოთლი „ქინძმარაული“...

— კიდევ?!

— რას მიყვირი?!.. ჯონჯოლი..: მაგრამ არა, ეგ მალე უნდა მომიტანონ.

— შენთან ლაპარაკიც კი აღარ ღირს!..

— რა მოხდა, რა დაგემართა?!

— უკანასკნელად გეკითხები, რა გაქვს-მეთქი კიდევ?!

— რა მაქვს?

— ჰო, რა გაქვს, შე საწყალო, შე უბედურო?!

— კიდევ რა მაქვს!.. ჰო, გამახსენდა: შენი სიყვარული, ჩემო სიცოცხლევ!

—აი, ყველაფერი აქედან უნდა დაიწყო ხოლმე!.. გესმის?! იცოდე, სულ შიმშილით რომ მიგდიოდეს სული, მაინც ჯერ მუდამ ამას გათქმევინებ. შე საწყალო, შენა!.. ჰმ, „ღორის ხორცი... შამაია... ლუდი!..“ 45-კაპიკიანი ლიმონი ხარ, გესმის?! 45-კაპიკიანი ლიმონი!

**ვასილ მჭედლიშვილი**

ნაცვლად, 15.200 კილოგრამი სიმინდი მიიღო! ეს გეგმის 291,2 პროცენტია! ახლა მისი მკერდი ნახეთ, ასეთი და სხვა მსგავსი სითამამისათვის მას ბარე თორმეტი ორდენისა და მედლის ზიდვა „შეუფარდეს" „სასჯელის" ზომად!

**გურამ ქუთათელაძე** ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ავეჯის საამქროს მუშაა. მართალია, აქაურ ავეჯს მაინცდამაინც კარგი თვალით არ უყურებენ მომხმარებლები, მაგრამ გურამი ცდილობს, როგორმე გააქარწყლოს ეს შეხედულება თავისივე მარჯვენით, სინდისით, მონდომებით .. და აღწევს კიდევაც მიზანს: მისი ნახელავი მოსწონთ! ბევრი და კარგი! — აი, მისი დევიზი!

ეს კი **ზაურ ჯოხაძე** გახლავთ — წითელვარსკვლაველი მეჩაიე. ვიცი, მავანი კაცი იფიქრებს, აქ რედაქციას კორექტურა გაპარვია — ზაური კი არა, ზაირა უნდა ეთქვაო. ნუ დარდობთ — ყველაფერი სწორია! თვითონ ზაური ამბობს, როცა ღმერთმა ჩაი გააჩინა, ჩვენ სიმინდის ყანებში ვიყავით და ღმერთმა ქალებს უთხრა, მათ მოსვლამდე თქვენ მიხედეთო! მერე, ქალი რომ „სარფიან" საქმეს იშოვის, შენ გამოგლეჯ ხელიდან?! მას შემდეგ წავიდა ასე, სანამ ამირან ტოროტაძემ არ აღიმაღლა ხმა ამ „უსამართლობის" წინააღმდეგ!...

ისე, ჯიუტი კაცი კი გახლავთ ზაური: ეუბნებიან, რაკი შენსას არ იშლი, აჰა, შენ 0,3 ჰექტარი ფართობი და ტონანახევარი ჩაი ჩაგვაბარეო! ეს კაი დედმამიშვილი კი ადგა და, სამნახევარი ტონა არ მოკრიფა?!.

დროიდან გაქცევა ახალი „გადამდები სენია" წყალტუბოში: ასეთი „სენი შეეყარა" აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის მუშას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს **მაყვალა ჩიხლაძეს** — ხუთწლედში მან იმდენი აბრეშუმის ძაფი ამოახვია, რომ მისგან შეკერილი კაბები ერთი მოზრდილი სოფლის ქალებს შემოსავდა (13. 446 კილოგრამი, გეგმა კი 11. 500 იყო )

**ადამ ქვაჭრელიშვილი,** ეს დროული კაციც აჰყვა, თურმე, ფეხის ხმას: ამაზე მიუთითებს მის მკერდზე მოკიაფე ჯილდოები. იგი წყალტუბოს ჩაის ფაბრიკის მუშაა.

**სერგო ღოღობერიძე** — „პოლიმერკონტეინერის" ქარხნის მოწინავე ზეინკალი.

**ვალერიან რუხაძე** — ქუტირის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მებოსტნე.

**ნოდარ ქუთათელაძე** — ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე.

ახლა რომ მივყვეთ, წყალტუბოელთა საგმირო საქმეების აღწერას „ნიანგის" რამდენიმე ნომერიც არ ეყოფოდა და, რაც მთავარია, ადგილი არ დარჩებოდა იმათთვის, ვისაც საერთოდ ბოლოში იხსენიებენ ..

**რამდენიმე ინტერვიუ, რომლებიც არ შედგა ნიანგისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.**

**შესანიშნავ** ობიექტს ჩაეყარა საფუძველი ამ რამდენიმე წლის წინათ. ეს გახლავთ წყალტუბოს მეცხოველეობის კომპლექსი 800 მეწველი ფურისათვის. კომპლექსს აშენებს საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსაკოლმეურნმშენის" წყალტუბოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭო.

აგერ, ოთხი წელიწადია, სულმოუთქმელად ელიან ფურები მის დამთავრებას. ოთხი წელიწადია, კეთილმოწყობილი ბინით დაკმაყოფილების აღრიცხვაზე არიან!

ნახ. გ. ფირცხალავა



განცხადება „დანართით"!!!

— როდის დაგვირიგებენ ორდერებს? — სწუხან მომავალი მობინადრენი.

მშენებლობა კი ფერხდება იმის გამო, რომ დამკვეთმა დროულად ვერ შემოიტანა მოწყობილობა-დანადგარები.

წლეულს, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ თვეებში, მშენებლობას გამოცოცხლება დაეტყო. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ რაიკომის ბიურომ სერიოზულად იმსჯელა ამ საკითხზე და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საქმის გამოსასწორებლად. მშენებლები და დამკვეთები კეთილსინდისიერად შეუდგნენ ბიუროს დადგენილების შესრულებას.

ვნახოთ, რა მოჰყვება ამას!

**ალო, ქუტირია?**

ქუტირი კია, მაგრამ რად გინდა?! ტელეფონი არაა! ტელეფონი არც სხვა სოფლებშია (არა, აპარატები კი დგას, მაგრამ არც ზარი გადის, არც ხმა!).

მალე ახალი სატელეფონო სადგური უნდა ამუშავდეს. არის ახლა ერთი შეხლა-შემოხლა: ნომრები ცოტაა, მსურველი — ბევრი!

ჰოდა, აი, ტელეფონის მსურველთა შემოტევა თავიდან რომ აიცილონ, კავშირგაბმულობის განყოფილების ხელმძღვანელებმა ერთი ახალი, მეტად ორიგინალური წესი შემოიღეს: განცხადებას ტელეფონის დადგმის თაობაზე თან უნდა მოაყოლო რამდენიმე ელექტრობოძი! დიახ, თუ ტელეფონი გინდა, თავიც უნდა შეიწუხო! მაგრამ სად იშოვონ ეს ბოძები? რომ იყიდებოდეს, იყიდდნენ (აქაურები ძუნწები არ არიან), ვერც ატელიეში დაუკვეთავ, ვერც მოიპარავ! აბა, რა ქნან?

50 წელიწადია, ივანდიდის კოლმეურნეობის კანტორა თავად წულუკიძის ყოფილ სახლშია მოთავსებული, ეს სახლი, საცაა, წაიქცევა ან რაღაც სხვა უბედურება დაემართება, მაგრამ, მე შენ გეტყვი, სასწრაფოდ გამოუძახებ მშველელს ტელეფონით?

მერე, რატომ არ აშენებენ ახალს?

აშენებენ, როგორ არ აშენებენ. უკვე მეექვსე წელიწადია, შედგენილია კლუბ-კანტორის პროექტი, რაშიც კოლმეურნეობამ 2165 მანეთი გადაიხადა. მშენებლობა კი სულ 163 ათასი მანეთი ჯდება. ეს თანხაც აქვთ ივანდიდელებს. მაშინ, აბა, რა გინდათ? ადექით და დაიწყეთ მშენებლობა, თქვე კაი კაცებო. არაფერიც არ უნდათ ივანდიდელებს — უნდათ მხოლოდ ის, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. თ. ჩიკვაიძე ცოტა მეტი ყურადღებით მოეკიდოს ამ საქმეს და მშენებლობის დაწყება მეტად აღარ გააჭიანუროს!..

**ახტა-დახტა და...**

ორ საფეხურს რომ აივლით, ავტოსადგურის კარებში შეხვალთ. მერე უნდა ახტეთ და... სალაროს წინ დახტეთ! თქმა იოლია, ვიქტორ სანეევი უნდა იყო, რომ სამი ნახტომით მოხვდე სალაროსთან.

იატაკი აყრილია, ფიცარი შეჭმულია. და ასეა, თურმე, რამდენიმე წელიწადი! ნიანგს ის უკვირს, მოლარეები, სადგურის თანამშრომლები და მძღოლები როგორ შედიან იქ?!

იატაკი ნაცარქექიას შარვალივითაა მიკერებულ-მოკერებული, თანაც ფიცრით კი არა, ფანერით, დროთა განმავლობაში ეს ფანერიც შეუჭამია რაღაცას, მერე მესამე თუ მეოთხე პირი დაუკერებიათ. ბოლოს მობეზრებიათ ეს ჩხირკედელაობა და სულაც მიუტოვებიათ — ახალი უნდა აშენდესო!



მაყვალა ჩიხლაძე

რა სჯობს ახალს, მაგრამ ნიანგი ეკითხება სადგურის თანამშრომლებსა და რაიონის ხელმძღვანელობას: სანამ კაცი ახალ სახლს ააშენებს, შეიძლება ზამთარ-ზაფხულ თავლია სახლში იცხოვროს?!

გზაში კონტროლიორები წყალტუბოდან მიმავალ ავტობუსს აჩერებენ და უბილეთო მგზავრებს ეძებენ. იმას კი არ კითხულობენ, რომ ბილეთის აღება დიდ რისკთანაა დაკავშირებული: შვიდშაურიანი ბილეთის გულისთვის კისერს ვინ მოიტეხს?! სხვისი არ ვიცი და, მე ჩემდათავად, რწყილის ქონიც რომ დამიდონ სალაროში, იქ მიმსვლელი არა ვარ!

ორი ლერი ფიცარი რა გაჭირდა, რომ ეს დაბრკოლება გადალახო?!

ვფიქრობ, თავიდანვე ორი ლერი ფიცრის შოვნა სჯობს, შემდეგ რომ ოთხი ფიცარი არ დაგჭირდეს (თუმცა ფიცარს კი არა, ელექტრონის ბოძებს შოულობენ კერძო პირები).

ნიანგის რაციონალიზატორული წინადადებაა — ავტოსადგურის თანამშრომლებმა გადაიღონ კავშირგაბმულობის განყოფილების გამოცდილება და შესასვლელში გააკრან ასეთი განცხადება: **„ვისაც ავტობუსის ბილეთი უნდა, ფიცარი მოიტანოს!"**

წყალტუბოელებს კიდევ ერთ რამეზე წყდებათ გული — ქალაქის ცენტრიდან „პოლიმერკონტეინერის" ქარხნამდე ამ რამდენიმე წლის წინათ დადგეს ლამპიონები (თითქმის ორნახევარ კილომეტრზე). მაგრამ იმ დღიდან მისი შუქი არავის უნახავს!

დაბოლოს, მოგვიტევონ თავში მოხსენიებულმა დიდებულმა გმირმა ვაჟკაცებმა და წყალტუბოში არ უნდა ცხოვრობდნენ ანტიპოდები, რომელთა სია ნიანგმა შინაგან საქმეთა განყოფილებაში მოიპოვა. თანაც აქ ხსენებული ადამიანები უსურათოდ უნდა წარმოვადგინოთ, რადგან ისინი ისეთ ადგილას იმყოფებიან, სადაც სურათის გადაღება ცოტა უხერხულია:

**ჯოკია კოპალიანი** — ბედი არა მაქვსო, მან უნდა თქვას: ორი ცოლი „გაექცა". ახლა ზის და ფიქრობს, ციხიდან რომ გამოვა, ვინ გააბედნიეროს!

**რომან კირთაძე** — 3 წლითა და ექვსი თვით პატიმრობა მიესაჯა... ქვასროლიაობისათვის. ერთ-ერთი ქვა საკუთარ ცოლს მოახვედრა და თავი გაუხეთქა!

**ავთანდილ დარსაველიძე** — ღვირახსნილობისათვის, სადაც ჯერ არს, იქ ზის!

**ზურაბ წოწონავა** — უსაქმური და ნარკომანი!

**ავთანდილ კუპატაძე** — ფული დასჭირდა და მარტოხელა ქალს მიუხტა სახლში!

**ამით** მთავრდება ნიანგის მოგზაურობა წყალტუბოში, თუმცა მე კვლავაც ვაპირებ თქვენთან მოსვლას, ძვირფასო ხონელებო! თქვენი არ ვიცი და, მე ახლა მაგონდება დიდი ხონელის — ირაკლი აბაშიძის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ლექსის („ქალაქი ხონი") დიდებული სტრიქონები:

**და ისევ შენთან, და ისევ**
**შენთან,**

**და ისევ შენთან,**
**ჩემო ლამაზო!**

და ამჯერად (მე ამის იმედი მაქვს) მხოლოდ დიდ მიღწევებზე, დიდ გამარჯვებებზე გვექნება საუბარი. თქვენც გახსოვთ, ალბათ, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ნათქვამი სიტყვები: დაიძრა ენთუზიაზმის, შემოქმედების, გააზრებული თავდადების ტალღა, იმარჯვებს მართლოდენ ადამიანისათვის დამახასიათებელი ფენომენი, რომელსაც სინდისი ეწოდება!

სინდისს კი არასოდეს უღალატია წყალტუბოელებისათვის!

**ივერი ტაბიძე**

**„ნიანგის" სპეციალური კორესპონდენტი**



სერგო ღოღობერიძე

# განცხადება

**მალაზიიდან** გაიტაცეს (ზოგი — წინა, ზოგი — უკანა კარიდან) და აღარ დაბრუნებულან: **კოჰისძაფი** (ქერა, შავგვრემანი, წითური), **ელექტროუთო** (ყოველგვარვოლტიანი), **კბილის ჯაგრისი** (სკოლამდელი ასაკისა და უფრო ხნიერი), **წიგნები** (საბავშვო — განსაკუთრებით), **თეთრეული, თერმომეტრი** — ცელსიუსისა (რეომიური მოდაში აღარ არის!).

დამატებით გაცნობებთ მათ გარეგნულ ნიშნებს:

**კოჰისძაფები** სტანდარტული ზომისანი არიან (უქუდოდ), აცვიათ დანომრილი მაისურები!

**ელექტროუთოს** ჭრელ კაშნედ ახვევია ზონარი, ზოგჯერ გადაცმული აქვს ნიკელის ხალათი!

**წიგნებს** აცვიათ სუპერ-პერანგები და ასდით სტამბის სუნი!

**ჯაგრისებს** ჯაგარი სცვივათ!

**თეთრეული** უტანსაცმლოდაა გაქცეული!

**თერმომეტრი** ვერცხლისწყლიანი სისხლისაა!

**მნახველებს გთხოვთ, დარეკოთ ტელეფონით, ან გვაცნობოთ პირადად!**

**სპეკულანტთა ნახევრადარალეგალური და ნახევრადნეგაყოფლოგითი საზოგადოების ნახევრადგაუგებრად არჩეული გამგეობა**

განცხადებით გამოგვეცხადა
**მურთაზ აბაშიძე**

ნახ. ჯ. ლოლუა



— გაბედე! გადმოალაგე!..

## „ლ ო გ ე ბ ი"

**მოხუცები** საუბრობენ:

— ჩემი შვილი ლარინგოლოგია! — ამბობს ერთი.

— როგორ თქვი? ლათინოლოგი? — ეკითხება მეორე.

— ლათინოლოგი კი არა, ლარინგოლოგი — ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი! — უხსნის პირველი.

მეორე დაღონდება და ჩაილაპარაკებს:

— ეჰ, ერთობ მომრავლდნენ ეს „ლოგები" — ლარინგოლოგი, ფსიქოლოგი, ფილოლოგი, ბიოლოგი, გეოლოგი!.. უფროსოლოგი, უმცროსოლოგი!. მწყემსოლოგობა და ვაზოლოგობა კი არავის უნდა!.. მალე სოფლად აღარავინ დარჩება და ვნახოთ, ეს სოკოსავით მომრავლებული „ლოგები" რა ხეირს დაგვაყრიან!

**ამირან მიქაუტაძე**
**(ქ. სოხუმი)**

## დიდიმ პატარაია გირჩევთ:

თუ თეატრსა, ან კინოში წასვლას გადაწყვეტთ, ერთი ბავშვი ჩააბარეთ ცოლის, ხოლო მეორე — თქვენს მშობლებს (მესამე, წინასწარ ვიცი, არ გეყოლებათ!). შემდეგ წყლის ონკანები საიმედოდ ჩაკეტეთ! გაზი, უთო, ტელევიზორი და რადიომიმღები გამორთეთ! საიდუმლო ხმოვანი სიგნალიზაცია საგულდაგულოდ ჩართეთ! ქურდების მოსატყუებლად ყველა ნათურა აანთეთ! სიგნალიზაცია არ იკმაროთ! — ბინა არასაუწყებო დაცვას ჩააბარეთ, „პაროლი" კარგად დაიმახსოვრეთ! არც მეზობლების შეწუხება დაიზაროთ და, მხოლოდ ამის შემდეგ ჩადით ეზოში, გარაჟში წინასწარ შეყვანილი მანქანის ტრამბლიორი ამოიღეთ, ყველა „სეკრეტი" ჩართეთ, გარაჟი კი საიმედოდ ჩაკეტეთ! არც ამას ენდოთ! — გარაჟის საიდუმლო ხმოვანი სიგნალის ჩართვაც არ დაგავიწყდეთ! ყოველი შემთხვევისათვის, გარაჟს დარაჯად „ნემეცკი ავჩარკაც" (გერმანული ნაგაზი) დაუყენეთ, ხოლო თვითონ ძაღლიც რომ არ მოიპარონ, მეზობელს ჩააბარეთ!

ამის შემდეგ შეგიძლიათ, დაიჭიროთ ტაქსი და მშვიდად წაბრძანდეთ თეატრსა, ან კინოში!

კიდევ ერთი რჩევა: თუ შეგაგვიანდეთ, არ იჩქაროთ და ქუჩა უადგილო ადგილას არ გადაჭრათ, თორემ მილიციელი აუცილებლად დაგაჯარიმებთ!

№ 249
22. IV 81.

„... მაგრამ არიან ისეთნიც, რომლებიც სულ იმას ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები მისცენ და რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ სახელმწიფოს!"

გაზეთებიდან

ნახ. მ. აბაშიძისა




უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 – 81

ნახ. ვ. ლომიძისა




ფათერაკიანი თამ-აშშ-ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“
№ 7 (1593). აპრილი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო
კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი
ნოდარი ბართაია
ბორის გურგულია
ნოდარ დუმბაძე
რევაზ თვარაძე
ჯემალ ლოლუა
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი)
ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
ალექსანდრე სამსონია
გიგლა ფირცხალავა
ჯანსულ ჩარკვიანი
თამაზ წივწივაძე
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე)
ნაფი ჯუსოითი

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად
9. 3. 81 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
6. 4. 81 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 2
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა,
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 762. უე 08334.
ტირაჟი 150.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.
ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137